საწვრთნელი მატჩი

სულ მალე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში აღიმართება სსრ კავშირის 46–ე ჩემპიონატის ალამი. მანამდე კი მომავალ საფეხბურთო მარათონისთვის გულდაგულ ემზადებიან ქვეყნის უძლიერესი კოლექტივები. საწვრთნელ და საკონტროლო შეხვედრებში კიდევ ერთხელ ზუსტდება გუნდების შემადგენლობანი, მწვრთნელები ისევ და ისევ ცდიან ტაქტიკურ ვარიანტებს.

ერთ–ერთი ასეთი საკონტროლო მატჩი შედგა გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი დინამოელები და ბაქოს "ნეფთჩის" ფეხბურთელები. ორთაბრძოლა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და უკვე პირველსავე წუთებზე მათ ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ კარში დარტყმებს სიზუსტე აკლდა. სტუმრები კარგად იყენებდნენ კონტრიერიშებს და რამდენიმე სახიფათო მომენტი მათაც შექმნეს მჭედლიძის კართან.

შესვენების შემდეგ, განსაკუთრებით მატჩის მიწურულს, დინამოელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა, მაგრამ გოლი მაინც არ გასულა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 0:0.

მეტოქეთა რიგებში იყვნენ: "დინამო" – მჭედლიძე (კუცია), ჭედია, ანდღულაძე, პაიკიძე, არზიანი, კერესელიძე, კაკილაშვილი, სულაქველიძე, კოპალეიშვილი (გურული), ცაავა, შენგელია.

"ნეფთჩი": ტიშინი, ღარიბოვი (აბდულაევი), დროზდოვი, ვახაბზადე, საფაროვი, მიხალევსკი, ახმედოვი, ნურმამედოვი, ალიევი, ყურბანოვი, გაბიბოვი (შიხლაროვი).

თამაშს სჯიდა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი რ. ძოძუაშვილი.

"ლელო", 20 მარტი, 1983 წ.